

განმარტებითი ბარათი

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოქმედ კანონში არ არის გამოიყენებული მიწისქვეშა მინერალურ წყლებზე მოსაკრებლების ოდენობა მათი დანიშნულებისა და მოხმარების ფორმის მიხედვით, რაც რეალურად შემაფერხებელი ფაქტორია ცალკეული სამეწარმეო საქმიანობისათვის. კანონში არ არის განსაზღვრული მოსაკრებლის ოდენობა გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლებისათვის და შესაბამისად, არ არის დაკონკრეტებული „მინერალური წყლების“ დასახელება მისი გამოყენების სფეროების მიხედვით. ამასთან, არ არის დიფერენცირებული მოსაკრებლის ოდენობა განხვავებული ტემპერატურის მატარებელი თბოენერგეტიკული დანიშნულების მიწისქვეშა თერმული წყლებისათვის.

კანონპროექტის მიღება ასევე გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დღეისათვის მოქმედი „ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით სამასალე მერქნის ფასი განისაზღვრება დიამეტრის მიხედვით. რაც ართულებდა ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოების ჩატარებას, ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის პროცედურებს, სამართალდარღვევის დროს ზარალის რაოდენობის დადგენას.

ბე – ტყის რესურსისათვის დადგენილია ოთხი სანიხრე თანრიგი, რომელიც დამოკიდებულია რკინიგზიდან ტყეკაფის დაშორებაზე.

ასეთი მიდგომა არამართებულია და გადმონაშთია საბჭოთა სისტემის, რადგან დღეისათვის ხე-ტყის მრეწველობა გადასულია კერძო სექტორზე და აუცილებლობას არ წარმოადგენს ხე-ტყის რკინიგზით ტრანსპორტირება, ამასთან საქართველოს ტყეების უმრავლესობა განეკუთვნება მეოთხე სანიხრე თანრიგს, სადაც სამასალე რესურსის ფასი გაცილებით დაბალია, ვიდრე მისი რეალური საბაზრო ფასი, ხოლო საშეშე მერქანი იმ რეგიონებისათვის, სადაც ტყეკაფები მოქცეულია პირველ და მეორე სანიხრე თანრიგებში, სამასალე მერქნის მოპოვება პრაქტიკულად არ ხდება, ხოლო სათბობი შეშა კი გაცილებით ძვირია, ვიდრე მეოთხე თანრიგში მოხვედრილ ტყეკაფებში, რაც მიიმედ აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთოდ გაუქმდეს სანიხრე თანრიგები და სამასალე რესურსის ფასის კლასიფიკაცია მისი დიამეტრის მიხედვით.

სამასალე მერქნის ფასი განისაზღვროს მსხვილი სამასალე ხისთვის, პირველი თანრიგში გათვალისწინებული ფასით, ხოლო საშეშე მერქნის ფასი მეოთხე თანრიგით გათვალისწინებული ფასით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ხარვეზები, გაამარტივოს ლიცენზიების გაცემის პროცედურა გძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის, რაც ხელს შეუწყობს სატყეო სექტორის მდგრად განვითარებას, ასევე გაამარტივდება ტყეთმოწყობის სამუშაოების ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან და ხარჯებთან. გაიაფდება სათბობი შეშა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს პროცესები კი ხელს შეუშლის ქვეყნიდან გადაუმუშავებელი ხე-ტყის გადინებას.

ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის კონკრეტულ სახეობებზე (მინერალური წყლები; თერმული წყლები) რეალური გარემოებების გათვალისწინებით, მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრით განხორციელდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლების გადახდის სისტემის სრულყოფის უზრუნველყოფა.

ა.ე) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი შედგენილია “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანონპროექტის მიხედვით, დანიშნულების შესაბამისად, ხდება მინერალური წყლების მოსაკრებლების გამიჯვნა. ზუსტდება “სასმელ-სამკურნალო და ჩამოსახმელი მიწისქვეშა მინერალური წყლების” დასახელება. გამოიყოფა “გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლები”. მოპოვებული 1 მ³ “გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლისათვის” მოსაკრებელი განისაზღვრა 0.04 ლარის ოდენობით.

განსხვავებული რაოდენობის სითბოს მატარებელი თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) მიწისქვეშა წყლებისათვის განხორციელდა რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება წყლის ტემპერატურათა შერჩეულ დიაპაზონებში.

№	ტემპერატურული დიაპაზონი °C	რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი ლარი/მ ³
1	40-60	0.03
2	60-80	0.05
3	80-100	0.06
4	>100	0.08

კანონპროექტით ტყის რესურსისათვის დადგენილი მოსაკრებელი აღარ იქნება დამოკიდებული მის დიამეტრზე და მის სანიხრე თანრიგზე იგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ ხის ჯიშზე, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიფდება სათბობი შეშა რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მოსაცლეობისათვის.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღებით მოსალოდნელია ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების გენერირება, რაც განპირობებული იქნება კანონში მიწისქვეშა თერმული წყლების ტემპერატურული დიაპაზონების მიხედვით დაყოფისა და მოსაკრებლების შესაბამისი ციფრობრივი განაკვეთების განსაზღვრით.

მოქმედ კანონში თერმული წყლების ზომის ერთეულად მოცემულია 7 000 კკალორია, ხოლო მოსაკრებლის ოდენობა 7 000 კკალორიისათვის შეადგენს 0.003 ლარს. გადასახდელი რესურსის მოსაკრებლის ოდენობა ინგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$P=Q (t-t_2) / 7 000 \text{ კკალორია} * 0.003 \text{ ლარი}$$

სადაც **P** არის გადასახდელი რესურსის მოსაკრებლის ოდენობა; **Q** არის თერმული წყლის დებიტი (ლ.); **t** არის თერმული წყლის ტემპერატურა; **t₂** არის ნამუშევარი (სითბოგამოცლილი) წყლის ტემპერატურა, რომელიც შეადგენს 20 °C –ს;

მაგალითად, თუ ავიღებთ 1 000 მ³ თერმულ წყალს 70⁰ C ტემპერატურით, მოქმედი კანონით 1 000 მ³ თერმული წყლის მოხმარებისთვის გადასახდელი ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი შეადგენს 21,4 ლარს.

$$1 000 \text{ მ}^3/\text{დღე} = 10^6 \text{ ლიტრი/დღე}$$

$$1 000 000 \text{ ლიტრი/დღე} * (70^0 \text{ C} - 20^0 \text{ C}) / 7 000 \text{ კკალორია} * 0.003 \text{ ლარი}$$

ხოლო კანონპროექტის მიღების შემდეგ იმავე 1 000 მ³/დღე რესურსით სარგებლობისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა იქნება 50 ლარი.

1 000 მ³/დღე * 0.05 ლარი = 50 ლარი , რომელიც დაახ. 2,3 ჯერ აღემატება მოქმედი კანონის მიხედვით გადასახდელ მოსაკრებლის ოდენობას (21,4 ლარი).

რაც შეეხება – “გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლები”-ს სახეობის გამოყოფასა და რესურსის მოსაკრებლის ოდენობად 0.04 ლარის განსაზღვრას, უნდა აღინიშნოს რომ მოსაკრებლის ოპტიმალური განაკვეთის განსაზღვრა ხელს შეუწყობს

აღნიშნული სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პროცესს, რაც საბოლოოდ განაპირობებს ბიუჯეტში როგორც საგადასახადო ისე არასაგადასახადო შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფას.

დღეს მოქმედი კანონის შესაბამისად 2006 წელს 90 372.5 კ.მ სამასალე ხე-ტყის რეალიზაციიდან რესურსის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შევიდა 2 140 113 ლარი. 489 193.32 კ.მ საშეშე მერქნის რეალიზაციიდან კი 1 881 726 ლარი. კანონპროექტის მიღების შემდეგ იგივე მოცულობის სამასალე ხე-ტყეს რეალიზებიდან ბიუჯეტში შევა დაახლოებით 1 070 057 ლარით მეტი. საშეშე მერქნის რეალიზებიდან კი დახლოებით 709 311 ლარით ნაკლები საბოლოო ჯამში, ბიუჯეტში შევა დაახლოებით 360 750 ლარით მეტი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს. კანონპროექტის მიღება არ ართულებს სახელმწიფო ადმინისტრირების პროცესს (არ ითხოვს ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას ან არსებულის გაფართოებას) და შესაბამისად, არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით ხდება კონკრეტული ბუნებრივი რესურსებით (მიწისქვეშა მინერალური წყლები; თერმული წყლები) სარგებლობის მოსაკრებლის ოპტიმალური განაკვეთის განსაზღვრა.

მოქმედ კანონში სასარგებლო წიაღისეულის სახეობად მოცემულია მხოლოდ “მინერალური წყლები”, რაც აერთიანებს მეურნეობის განსახვავებულ დარგებში გამოსაყენებელ წყლებს, რომელთა სასაქონლო ღირებულებაც არ არის იდენტური და ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოქმედ კანონში არ არის მოცემული მოსაკრებლის განაკვეთი მინერალური წყლებით გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) სარგებლობაზე. კანონპროექტის მიხედვით, გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მინერალური წყლებით სარგებლობაზე მოსაკრებლის ოდენობად განისაზღვრა 0.04 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოცემული სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებასა და მასშტაბების გაფართოებას.

რაც შეეხება თერმულ წყლებს, მოსაკრებლის ოპტიმალური განაკვეთის განსაზღვრა და მათი ტემპერატურული დიაპაზონების მიხედვით დაყოფა მისცემს მეწარმეს რეალურ საშუალებას ადეკვატურად წარმართოს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტში ცალკე სახეობად იქნა გამოყოფილი “გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლები”, რომელთა მოსაკრებელი მოპოვებულ 1 მ³ წყალზე განისაზღვრა 0.04 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოსაკრებლის განსაზღვრა მოხდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი ბალნეოლოგიური კურორტის – წყალტუბოს რეალური პოტენციალისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. წყალტუბოს რადონიანი სამკურნალო მინერალური წყლის საექსპლუატაციო მარაგი შეადგენს 5 000მ³/დღეღამეში. 80-იანი წლების ბოლომდე, როდესაც კურორტი სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა, კურორტის 9 ერთეულ სააბაზანოში ყოველდღიურად ტარდებოდა 15 000-18 000 სამკურნალო პროცედურა. ამჟამად ძალზედ მცირე დატვირთვით მოქმედებს მხოლოდ 3 სააბაზანო.

ერთ სამკურნალო პროცედურაზე დახარჯული წყლის (0.5 მ³) ღირებულება შეადგენს 0.5 ლარს. შესაბამისად, 1 მ³ წყლის სასაქონლო ღირებულება 1 ლარის ტოლია. რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი განსაზღვრულია აღნიშნული ღირებულების 4%-ის ოდენობით, რაც 0.04 ლარს უტოლდება.

განსხვავებული რაოდენობის სითბოს მატარებელი თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) წყლებისათვის განხორციელდა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის ოდენობის დიფერენცირება წყლის ტემპერატურათა შერჩეულ დიაპაზონებში. 1მ³ თერმული წყლის სარეალიზაციო ფასი იანგარიშება შემდეგი ფორმულით

$$(t_{საშ}-t_2)*1.16*20 \text{ ლარი}=R \text{ ლარი/მ}^3$$

სადაც $t_{საშ}$ არის შერჩეული ტემპერატურული დიაპაზონის (მაგ. 40⁰-60⁰) საშუალო ტემპერატურა (50⁰), t_2 - ნამუშევარი (სითბოგამოცდილი) წყლის ტემპერატურა, რაც პრაქტიკიდან გამომდინარე 20⁰-ის ტოლია. 1.16 არის გიგაკალორიებიდან მეგავატებში გადაყვანი კოეფიციენტი, ხოლო 20 ლარი არის თერმული წყლიდან სითბური ენერჯიის გენერაციის საანგარიშო ღირებულება ერთი მეგავატსაათისათვის (ცნობისათვის, სითბური ენერჯიის გენერაციის საანგარიშო ღირებულება დღევანდელ ფასებში შეადგენს: ელექტროენერჯიით 170 ლარი ერთი მეგავატსაათისათვის და გაზით - 41 ლარი ერთი მეგავატსაათისათვის).

მოსაკრებელი შეადგენს გამოთვლილი სარეალიზაციო ფასის 4%-ს.

ტემპერატურული დიაპაზონი °C	საშუალო ტემპერატურა °C	გამოთვლილი სარეალიზაციო ფასი ლარი/მ ³	რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი ლარი/მ ³
40-60	50	0.7	0.03
60-80	70	1.2	0.05
80-100	90	1.6	0.06
>100	100	1.9	0.08

--	--	--	--

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა სამთავრობო დაწესებულებებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა